ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**№18. 182522011**

თარიღი:**08/08/2025**

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის არჩევნებთან დაკავშირებით, საარჩევნო სააგიტაციო მასალის გასაკრავად და წინასაარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად ადგილების განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე, 46-ე მუხლების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

**მუხლი 1.**

საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისთვის (გასაკრავად, გამოსაფენად) განისაზღვროს ადგილების/შენობა-ნაგებობების (შემდგომში-ობიექტები) ჩამოთვალი წინამდებარე ბრძანების დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.**

ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა, საარჩევნო სააგიტაციო მასალა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობით.

**მუხლი 3.**

საარჩევნო სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრა აკრძალულია გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, საგზაო ნიშნებზე, ასევე შენობებზე, სადაც განთავსებულია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები.

**მუხლი 4.**

წინამდებარე ბრძანების დანართით გათვალისწინებულ ობიექტებზე, საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას A2 ფორმატის 1 (ერთი) ცალი საარჩევნო პლაკატი.

**მუხლი 5.**

წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩასატარებლად, განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სკვერები/პარკები.

**მუხლი 6.**

წინამდებარე ბრძანების დანართით, ასევე მე-5 მუხლით განსაზღვრულ ობიექტებზე, საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ, როგორც საკუთარი სააგიტაციო მასალების განთავსება, ასევე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩატარება იმ ფორმით, რომ დაცულ იქნეს პროცესში ჩართული ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს გამოყოფილი ადგილით.

**მუხლი 7.**

დაევალოს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს საარჩევნო-სააგიტაციო მასალის

განთავსებისათვის და წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩასატარებლად გამოყოფილი ადგილების/შენობა-ნაგებობების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება გარდაბნის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

**მუხლი 8.**

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 9.**

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დავითი კარგარეთელი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია-მერი